მსოფლიო პრაქტიკა

სიახლეები

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება ორგანიზაციის ყოფილი თანამშრომლის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესახებ

საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება მონაცემთა უკანონო შენახვის შესახებ

სლოვენიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება თანამშრომელთა ვიდეომონიტორინგის წესების დარღვევის გამო

2023 წელს, სლოვენიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ კომპანია "FOVELLA"-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა დაიწყო.[1] მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის შედეგად, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ კომპანია ახორციელებდა თანამშრომელთა უკანონო მონიტორინგს.

იანვარი 2025

კერძოდ, მიმდინარეობდა იმ თანამშრომელთა მუდმივი ვიდეომონიტორინგი, რომლებიც კომპანიის ერთ-ერთ ობიექტზე, რესტორნის სამზარეულოში მუშაობდნენ. სამზარეულოში დამონტაჟებული ვიდეომონიტორინგის სისტემით დამუშავებული ვიდეომასალა პირდაპირ რეჟიმში კომპანიის ვებგვერდზე იყო ხელმისაწვდომი.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ვიდეომონიტორინგის სისტემის საშუალებით პირდაპირ რეჟიმში ტრანსლირება კომპანიის ბიზნესმოდელის ნაწილი იყო. ინსპექტირების პროცესში საზედამხედველო ორგანომ ორი დარღვევა გამოავლინა:

სამუშაო სივრცეში ვიდეომონიტორინგის სისტემის უკანონოდ განთავსება:
  თანამშრომლების მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გამონაკლისის სახით (ultima ratio) და იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული აბსოლუტურად აუცილებელია ფიზიკურ პირთა ან ქონების უსაფრთხოების მიზნებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ვერ შეძლო ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ ანგარიშვალდებულების პრინციპთან შესაბამისობის დემონსტრირება. კომპანიამ რესტორნის სამზარეულოს მონიტორინგი განახორციელა აუცილებელი საჭიროების გარეშე. ამავდროულად, იგი ვიდეომონიტორინგის სისტემის გამოყენებით, რესტორნის სამუშაო პროცესის პირდაპირ რეჟიმში ტრანსლირებას ახდენდა კომპანიის ვებგვერდზე (https://dodopizza.si/ljubljana), რისთვისაც აუცილებელი საჭიროება არ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ სლოვენიის მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობა კრძალავს თანამშრომელთა სამუშაო სივრცეში ვიდეომონიტორინგის სისტემის განთავსებას. ასეთ ვითარებაში ვიდეომონიტორინგი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ დასახელებული მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან.

მონაცემთა დამუშავებისთვის ლეგიტიმური ინტერესის არარსებობა:
საზედამხედველო ორგანომ შეაფასა პირდაპირ რეჟიმში ტრანსლირების პროცესი და აღნიშნა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს არ გააჩნდა მონაცემთა დამუშავების ლეგიტიმური ინტერესი.

საზედამხედველო ორგანოს განცხადებით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებაა, შეაფასოს მონაცემთა დამუშავების პროცესთან დაკავშირებული ყოველი მოქმედება, კონკრეტული კონტექსტისა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის პოზიციიდან. მიუხედავად რესტორნის სურვილისა, რომ ვიდეომონიტორინგის გზით გაემყარებინა მომხმარებელთა ნდობა, პირდაპირი ტრანსლირება კომპანიის კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით არ შეფასდა პროპორციულ საშუალებად. კერძოდ, კომპანიის მიერ მომხმარებელთა ნდობის გამყარების ინტერესი არ აჭარბებს იმ თანამშრომელთა უფლებების დაცვის ინტერესს, რომლებიც კომპანიაში მუშაობდნენ და რომელთა სამუშაო პროცესის ტრანსლირება პირდაპირ რეჟიმში ხორციელდებოდა.

მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება
რესტორნის სამზარეულოში უკანონო ვიდეომონიტორინგის წარმოებისათვის და მისი კომპანიის ვებგვერდზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ტრანსლირებისათვის საზედამხედველო ორგანომ კომპანია 25 000 ევროს ოდენობით დააჯარიმა.

დამატებით, საზედამხედველო ორგანომ კომპანიას გამოუცხადა შენიშვნა თანამშრომელთა მონაცემების დამუშავების გამო, მათი წინასწარი ინფორმირების გარეშე.

ვინაიდან კომპანია საქმიანობას ახორციელებს ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში, სლოვენიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ წინამდებარე საქმის შესახებ ინფორმაცია კოლეგა საზედამხედველო ორგანოებს გაუზიარა.
აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო ორგანოს ინსპექტირების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება ორგანიზაციის ყოფილი თანამშრომლის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესახებ

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“AEPD”) ორგანიზაციის ყოფილი თანამშრომლის სამსახურებრივი ტელეფონიდან პერსონალური მონაცემების წაშლის კანონიერების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:
მონაცემთა სუბიექტსა და მის დამსაქმებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება 2021 წლის სექტემბერს შეწყდა. შესყიდვის შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე, ყოფილ დასაქმებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდა, საკუთრებაში დაეტოვებინა სამსახურებრივი ტელეფონი.

ტელეფონის გამოყენებიდან რამდენიმე თვეში, მონაცემთა სუბიექტს ტელეფონზე წვდომა შეეზღუდა და მიიღო შეტყობინება, რომელშიც მითითებული იყო, რომ მისი ტელეფონი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დისტანციურად მოწმდებოდა. მონაცემთა სუბიექტი დაუკავშირდა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, რომელმაც უთხრა, რომ ტელეფონში არსებული ინფორმაცია უნდა წაეშალა და პარამეტრები ხელახლა ჩაეწერა (“Reset”). სხვა შემთხვევაში, იგი ტელეფონით სარგებლობას ვერ შეძლებდა. მონაცემთა სუბიექტს შეთავაზებული ფუნქციის გამოყენება არ სურდა, რადგან არ უნდოდა წაშლილიყო მისი პერსონალური ინფორმაცია.

2023 წლის 13 თებერვალს, მონაცემთა სუბიექტმა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წინააღმდეგ ესპანეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოში საჩივარი შეიტანა. 2024 წლის 7 ოქტომბერს, “AEPD”-მ ადმინისტრაციული წესით დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება დამსაქმებლის მიმართ, რომელიც აცხადებდა, რომ, შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, მას ჰქონდა უფლება მონაცემთა სუბიექტისთვის დაევალებინა მის ტელეფონში შენახული ინფორმაციის წაშლა.

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება:

საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ტელეფონის შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ანიჭებდა უფლებას, წაეშალა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აღნიშნული არ ვრცელდებოდა პირადი სარგებლობის ფარგლებში შეგროვებულ მონაცემებზე. ფაქტობრივი გარემოებების თანახმად კი, მონაცემთა სუბიექტის მიერ ტელეფონით სარგებლობისთვის აუცილებელი იყო ტელეფონში არსებული მონაცემების წაშლა, რომელიც, მათ შორის, მოიცავდა პირადი სარგებლობის ფარგლებში შეგროვებულ ინფორმაციას.

ამდენად, “AEPD”-მ დაადგინა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) მე-6 მუხლის („მონაცემთა დამუშავების კანონიერება“) პირველი პუნქტის შესაბამისად, არ ჰქონდა მონაცემთა სუბიექტისთვის ტელეფონში არსებული პირადი ინფორმაციის წაშლის მოთხოვნის უფლება.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დააკისრა ჯარიმა 120 000 ევროს ოდენობით.

საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება მონაცემთა უკანონო შენახვის შესახებ

მიმართვის საფუძველზე საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“HDPA”) მონაცემთა სუბიექტის ყოფილი ადვოკატის მიერ მონაცემთა უკანონო შენახვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.
მონაცემთა სუბიექტი, რომელმაც საზედამხედველო ორგანოს მისი ყოფილი ადვოკატის წინააღმდეგ მიმართა, აცხადებდა, რომ სამართალწარმოების დასრულების შემდეგ, ადვოკატმა არ დააბრუნა სუბიექტის პერსონალურ მონაცემთა შემცველი დოკუმენტები, რაც წარმოადგენდა მონაცემებზე წვდომის უფლების დარღვევას, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) მე-15 მუხლის თანახმად.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები
2019 წელს მონაცემთა სუბიექტმა პირველად მიმართა მის ყოფილ ადვოკატს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოთხოვის მოთხოვნით. მიუხედავად მრავალი შეხსენებისა, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მან პასუხი ვერ მიიღო.
საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ საკითხის შესწავლის ფარგლებში, მოითხოვა წერილობითი განმარტებები მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან იმის შესახებ, თუ როგორ დამუშავდა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა და რატომ უგულებელყვეს განმეორებითი შეტყობინებები. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა განაცხადა, რომ შესაბამისი დოკუმენტები პროკურორის მიერ დაარქივდა.

საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შეახსენა ძირითადი რეგულაციის 31-ე მუხლიდან გამომდინარე საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ვალდებულება და კიდევ ერთხელ მოითხოვა მისგან განმარტებები, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია.

საკითხთან დაკავშირებით 2024 წელს დაინიშნა ზეპირი მოსმენა. მონაცემთა სუბიექტი ამტკიცებდა, რომ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება დაირღვა, რადგან მისმა ყოფილმა ადვოკატმა ვერ უზრუნველყო დოკუმენტების დაბრუნება. სუბიექტის განმარტებით, საჩივარი შეეხებოდა არა პერსონალური მონაცემების დარღვევას, არამედ დოკუმენტების უკანონოდ შენახვას. მეორე მხრივ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ამტკიცებდა, რომ დოკუმენტები აღარ იყო ხელმისაწვდომი მათთვის, რადგან ოფისშიც არ ინახებოდა. აღნიშნული დოკუმენტები კი ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა წყაროდან, ისეთი, როგორიცაა: საჯარო ჩანაწერები ან სასამართლო ფაილები, რის გამოც მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

გადაწყვეტილების დასაბუთება

საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“HDPA”) დაადგინა, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაარღვია ძირითადი რეგულაციის მე-15 მუხლი, რადგან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაზე რეაგირება არ მოახდინა და არ დააბრუნა დოკუმენტაცია. გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ მონაცემთა სუბიექტისთვის პერსონალურ ფაილზე წვდომის უფლება, ასევე, უზრუნველყოფილია საბერძნეთის ეროვნული კანონის, მე-5 მუხლით.

საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაარღვია ძირითადი რეგულაციის 31-ე მუხლი, როდესაც უარი განაცხადა საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობაზე და არ მიაწოდა საჭირო განმარტებები “HDPA”-სთან თანამშრომლობაზე - არ მიაწოდა საჭირო განმარტებები, მიუხედავად ორგანოს არაერთი მოთხოვნისა.

მიღებული გადაწყვეტილება

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დააკისრა ორი ადმინისტრაციული ჯარიმა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 58(2)(i) მუხლის შესაბამისად: მონაცემთა სუბიექტის ხელმისაწვდომობის უფლებების დარღვევისთვის 700 ევროს, ხოლო საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის - 700 ევროს ოდენობით.

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტის საბანკო ანგარიშზე უკანონო წვდომის მოპოვების შესახებ

ესპანეთის მოქალაქემ, ქვეყნის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პერსონალური მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტების შესწავლისა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით მიმართა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

საზედამხედველო ორგანოს მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ მონაცემთა სუბიექტის სახელით, სხვა პირმა განახორციელა სატელეფონო ზარები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის - კომერციული ბანკის მიერ მომხმარებელთა განცხადებებზე რეაგირებისთვის განსაზღვრულ დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან. კომუნიკაციის ფარგლებში, არაუფლებამოსილმა პირმა წარადგინა მოთხოვნა მონაცემთა სუბიექტის საბანკო ანგარიშზე წვდომის მოსაპოვებლად საჭირო პაროლის შესაცვლელად. მიზეზად დასახელებულ იქნა პაროლის შეცვლის გზით სისტემაზე წვდომის აღდგენა. დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირი, მონაცემთა სუბიექტის ვინაობის დადგენის გარეშე, დაეყრდნო სატელეფონო ზარის ავტორის მიერ გამჟღავნებულ ინფორმაციას მისი სახელისა და გვარის შესახებ, შეცვალა პაროლი, რის შედეგადაც არაუფლებამოსილმა პირმა მოიპოვა წვდომა მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ საბანკო ანგარიშზე და განახორციელა საბანკო ტრანზაქციები. არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულმა საბანკო გადარიცხვებმა შეადგინა 50 000 ევრო.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი აღნიშნავდა, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაჰკისრებოდა სატელეფონო ზარის ავტორ არაუფლებამოსილ პირს, ვინც უკანონოდ დაეუფლა მონაცემთა სუბიექტის საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხას.

საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება:
საზედამხედველო ორგანომ განმარტა, რომ დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა დაარღვია მონაცემთა დამუშავების წესი, რომელიც მას ავალდებულებდა, მონაცემთა სუბიექტის ვინაობის დასადგენად წინასწარ განსაზღვრული საკონტროლო შეკითხვების დასმას. აღნიშნული დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ევალებოდა მონაცემთა დამუშავების მიზნის განსაზღვრა.

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პასუხისმგებლობა დაეკისრა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, ვინაიდან იგი განსაზღვრავდა მონაცემთა დამუშავების მიზნები და არ უზრუნველყოფდა მონაცემთა სუბიექტის ვერიფიკაციისთვის საჭირო პროცედურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესრულების მონიტორინგს. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაეკისრა ჯარიმა.

ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება მონაცემთა ცენტრალიზებული დამუშავების შესახებ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

„ფრიდელიტი“ ბელგიასა და იტალიაში ცნობილ ტექნოლოგიურ კომპანიას წარმოადგენს, რომელიც მომხმარებლებს შესყიდვის პროცესში ხარჯების დაზოგვას უმარტივებს. მისი აპლიკაცია მომხმარებლებს აჩვენებს პარტნიორი კომპანიების ფასდაკლებებსა და ლოიალურობის დაგროვებულ ქულებს. ამის მისაღწევად კომპანია ამუშავებს ბელგიის ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათების მონაცემს, შეგროვებული მონაცემები შემდგომ ინახება მონაცემთა შენახვის ერთიან სისტემაში, რომელზე წვდომის უფლებას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მის პარტნიორ კომპანიებს ანიჭებდა.

საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება:

საზედამხედველო ორგანომ პრობლემურად სამი ძირითადი საკითხი მიიჩნია: კომპანიის მიერ საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემთა შენახვის პროცესი, ამ მონაცემთა გაზიარება და მათი მესამე პირებთან გადაცემა. განისაზღვრა მონაცემების შეგროვების საშუალებები მომხმარებელთა ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათების სკანირებით, ვებგვერდის „მზა-ჩანაწერებით“ *(“cookies”)* და ცენტრალურ შენახვის სისტემაზე *(“central filing system”)* მომხმარებელთა დარეგისტრირებით. ამასთანავე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემებს ღებულობდა პარტნიორი კორპორაციებისგან, რომლებიც სანაცვლოდ „ფრიდელიტის“ რეკლამირებას უწევდნენ თავიანთ ვებგვერდებზე.

საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ „ფრიდელიტი“ და მისი პარტნიორი კომპანიები უნდა იყვნენ მიჩნეული თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებად.

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ *26*-ე მუხლის მიხედვით თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ერთად განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს. საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ „ფრიდელიტის“ მონაცემთა დამუშავების მიზნად განსაზღვრული ჰქონდა მონაცემთა შეგროვება და დამუშავება, იგივე მიზანი ამოძრავებდათ მის პარტნიორ კომპანიებს, რომლებისთვისაც „ფრიდელიტის“ აპლიკაციაზე მონაცემთა დამუშავება მყიდველთა ლოიალურობის გაზრდის საშუალება იყო. მონაცემთა დამუშავების ფორმად საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია „ფრიდელიტის“ მიერ პარტნიორი კომპანიების ვებგვერდებიდან ფიზიკური პირების მონაცემთა შეგროვება.

გამოვლენილი დარღვევები:

თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაარღვია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-5 მუხლი, რადგან მონაცემთა დამუშავება არ განახორციელა კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა არ შეასრულეს რეგულაციის მე-7 მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის მიხედვითაც მონაცემთა სუბიექტს თანხმობის გამოხმობა უნდა შეეძლოს მარტივად და ნებისმიერ დროს.

ასევე, დადგინდა მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის (რეგულაციის მე-5 მუხლი) და მონაცემთა დაცვის როგორც პირველადი პარამეტრის (რეგულაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის) დარღვევა, ვინაიდან თანადამუშავებისთის პასუხისმგებელი პირები აგროვებდნენ მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ბარათის დამზადების შესაბამისი მუნიციპალიტეტის მონაცემებს. დაირღვა აგრეთვე, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მონაცემთა შეზღუდვის პრინციპი. კერძოდ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა შენახვის სისტემაში მონაცემთა შენახვის ვადა 8 წელი იყო, რაც მკვეთრად აღემატებოდა დასახული მიზნისთვის საჭირო დროს.

შედეგად, „ფრიდელიტიმ“ საზედამხედველო ორგანოსგან მიიღო შენიშვნა და დაევალა 4 თვის ვადაში სხვადასხვა ღონისძიების გატარება:

1. მომხმარებელთა მიერ მონაცემთა დამუშავებაზე თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული თანხმობის მიღების მექანიზმების შემუშავება;
2. ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღება, რომლის მეშვეობით მონაცემთა სუბიექტს შეძლებოდა თანხმობის გამოხმობა;
3. მონაცემთა შეგროვების პროცესის დოკუმენტირება;
4. ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათიდან მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების შეგროვების შეწყვეტა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”)[1] ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) 82-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ლატვიის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ცენტრმა“ (“The Consumer Rights Protection Centre”, “PTAC”) გაავრცელა ვიდეო, რომელშიც ასახული იყო ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალისტის პაროდია. ვიდეოს გამოქვეყნების მიზანს მეორადი მანქანების ყიდვასთან დაკავშირებული რისკების თაობაზე მომხმარებლების ინფორმირება წარმოადგენდა. ჟურნალისტმა ცენტრს ვიდეოს გავრცელების შეწყვეტა და რეპუტაციული ზიანის ანაზღაურება მოსთხოვა, რაც არ იქნა გათვალისწინებული.

მონაცემთა სუბიექტმა მიმართა ლატვიის საოლქო ადმინისტრაციულ სასამართლოს და არამატერიალური ზიანის მიყენებისთვის მოითხოვა კომპენსაცია 2 000 ევროს ოდენობით, ასევე, საჯაროდ ბოდიშის მოხდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ცენტრის მიერ ვიდეოს გავრცელება იყო უკანონო, რის გამოც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს არამატერიალური ზიანისთვის 100 ევროს კომპენსაციის გადახდა და საჯაროდ ბოდიშის მოხდა დაევალა.

ცენტრმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა ლატვიის სამხარეო სასამართლოში[5], რომელიც ნაწილობრივ დაეთანხმა არსებულ გადაწყვეტილებას. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ დაადასტურა, რომ ცენტრის მიერ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები დამუშავდა უკანონოდ, რამდენადაც არ არსებობდა ევროკავშირის რეგულაციისმე-6 მუხლით („მონაცემთა დამუშავების კანონიერება“) გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი. შედეგად, ცენტრს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა დაევალა. აღინიშნა, რომ ლატვიის კანონმდებლობის მიხედვით, ცენტრს ვიდეოს საჯაროდ გავრცელების გამო მონაცემთა სუბიექტისთვის ბოდიში უნდა მოეხადა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო არამატერიალური ზიანისთვის ფინანსური კომპენსაციის შესახებ მოთხოვნას არ დაეთანხმა. სასამართლოს შეფასებით, ვიდეოს გამოქვეყნება საჯარო ინტერესს ემსახურებოდა და თავისი ბუნებით არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან დარღვევას.

მონაცემთა სუბიექტმა გადაწყვეტილება ლატვიის უზენაეს სასამართლოში[6] გაასაჩივრა. გამომდინარე იქიდან, რომ რეგულაციის 82-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, უზენაესმა სასამართლომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ შესაფასებელი საკითხები:

1.“GDPR”-ის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავება, როგორც რეგულაციის დარღვევა, შეიძლება თუ არა მიჩნეული იქნეს მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევად, როდესაც სახეზეა მონაცემთა სუბიექტის მიმართ მიყენებული ზიანი;

2.“GDPR”-ის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (რესტიტუცია), შეიძლება თუ არა, რომ არამატერიალური ზიანისთვის დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსბოდიშის მოხდა დაევალოს;

3. “GDPR”-ის 82-ე მუხლის პირველი პუნქტი იძლევა თუ არა საშუალებას, მონაცემთა სუბიექტმა მიიღოს შემცირებული კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა დამუშავება ემსახურება საჯარო ინტერესს და არსებობს შესაბამისი მოტივი.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება:
სასამართლოს შეფასებით, ძირითადი რეგულაციის დარღვევა, 82-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტომატურად ზიანის არსებობას არ გულისხმობს. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია სახეზე იყოს სამი კუმულაციური პირობა, კერძოდ:

·რეგულაციის დარღვევა;
·ზიანი;
·რეგულაციის დარღვევასა და ზიანს შორის კავშირი.
აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგულაციის დარღვევა ყოველთვის არ უტოლდება ზიანს.

დამატებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო ბოდიში შეიძლება, იყოს საკმარისი კომპენსაცია არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც მიადგა მონაცემთა სუბიექტს. “GDPR”-ის 82-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობით წესრიგდება. „საჯარო ორგანოების მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ ლატვიის კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე, არამატერიალური ზიანისთვის კომპენსაციის ფორმად განსაზღვრულია საჯაროდ ბოდიშის მოხდა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ “GDPR”-ის 82-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ბოდიშის მოხდის შესაძლებლობას, რომელიც წარმოადგენს არამატერიალური ზიანის კომპენსაციის დამოუკიდებელ ან დამატებით ფორმას. შესაბამისად, მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი, სამართლებრივ მოთხოვნებზე დაყრდნობით, წევრი სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს.

გარდა აღნიშნულისა, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, “GDPR”-ის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში არარელევანტურია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემების დამუშავების მოტივზე აპელირება. მითითებული საკითხი მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც “GDPR”-ის 83-ე მუხლის შესაბამისად („ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ზოგადი წესები“) უნდა განისაზღვროს ჯარიმის ოდენობა. ძირითადი რეგულაციის 82-ე მუხლის მიზანია მონაცემთა სუბიექტისთვის ზიანის ანაზღაურება და არა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის დასჯა. შესაბამისად, კომპენსაციის განსაზღვრისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის განზრახვა ნაკლებად მნიშვნელოვანია.

გადაწყვეტილება გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ სამედიცინო დაწესებულების გაფრთხილების შესახებ

გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ, მონაცემთა სუბიექტების ინფორმაციაზე მოთხოვნათა არასათანადოდ აღრიცხვისა და მათზე კანონით განსაზღვრულ ვადაში პასუხის გაუცემლობის მიზეზით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი — სამედიცინო დაწესებულება დააჯარიმა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

სამედიცინო დაწესებულება (“The United Lincolnshire Teaching Hospitals NHS Trust”) გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის სამინისტროს ნაწილია. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ აღნიშნული საქმის შესწავლა საკუთარი ინიციატივით დაიწყო.

საქმის შესწავლის პროცესში გამოვლინდა, რომ 2021 წლის 1-ლი მარტიდან 31 მარტის პერიოდში, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნათა 32%-ს, კანონმდებლობით განსაზღვრული 1 თვის ვადაში, პასუხი არ გაეცა. დაწესებულებამ საზედამხედველო ორგანოს აცნობა, რომ საანგარიშო პერიოდში ინფორმაციაზე მოთხოვნათა დაახლოებით 68%-ს უპასუხა, თუმცა მართვის სისტემაში არსებული ხარვეზის გამო, მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეს ვერ ადასტურებდა. კერძოდ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვერ ასაბუთებდა პასუხგაუცემლად დარჩენილ მოთხოვნათა ზუსტ რაოდენობას.

საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება:

საზედამხედველო ორგანომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს გაფრთხილება გამოუცხადა, ვინაიდან ჯანდაცვის სამინისტრო 2021 წლის 1-ლი მარტიდან 31 მარტის ჩათვლით სათანადოდ არ იცავდა გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის მოთხოვნებს. კერძოდ, სამინისტროს არ გააჩნდა ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი მოთხოვნის განხილვის ვადა გახანგრძლივდა ერთი თვიდან სამ თვემდე. მან ასევე ვერ წარადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის მოთხოვნისათვის არ იყო პასუხი გაცემული.

გარდა ინფორმაციაზე მოთხოვნებისა, მონაცემთა სუბიექტები, ზოგიერთ შემთხვევაში, სამინისტროსაგან ითხოვდნენ პერსონალურ მონაცემთა შემცველი დოკუმენტების ასლებს, რომლთა მიწოდებაც, მათთვის კანონით განსაზღვრულ დროში, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ვერ შეძლო.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიება:
აღსანიშნავია, რომ სამინისტროში დაინერგა ინფორმაციის მოთხოვნათა მართვის ახალი სისტემა, რომელიც მათი აღრიცხვის ფუნქციით აღიჭურვა. საზედამხედველო ორგანოს განცხადების თანახმად, პრობლემის აღმოსაფხვრელად ახლად დანერგილი სისტემა დადებითად შეფასდა.

მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს განცხადებით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების ვალდებულებაა, შესაბამისი ვადების დაცვით უპასუხონ მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნებს. აგრეთვე, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა მოახდინონ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტების მიერ ინფორმაციაზე მოთხოვნის, სუზუსტის შენარჩუნება.

„მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ („EDPB“) მოსაზრება ხელოვნური ინტელექტის მოდელების შესახებ

18 დეკემბერს, „მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ“ (“EDPB”), გამოაქვეყნა მოსაზრება „ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარებისა და გამოყენების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების“ თაობაზე.[1] მოსაზრებაში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები: ხელოვნური ინტელექტის მოდელის ანონიმურობის კრიტერიუმები: რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ლეგიტიმური ინტერესი ხელოვნური ინტელექტის მოდელის განვითარების და გამოყენების სამართლებრივი საფუძველი; მოდელის განვითარებისას პერსონალური მონაცემთა უკანონო დამუშავების შედეგები. მოსაზრება შეიცავს ინფორმაციას მოდელის შექმნის და დანერგვის მიზნებით მონაცემთა დამუშავებისას მესამე მხარეთა მიერ გასათვალისწინებელი მოთხოვნების შესახებ.

დოკუმენტი შეიქმნა ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ინიციატივის საფუძველზე,[2] ევროპის მასშტაბით შესაბამისი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით. მოსაზრების მომზადების პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობით გაიმართა სამუშაო შეხვედრები ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის ოფისთან.

გამოქვეყნებული მოსაზრების თანახმად, ხელოვნური ინტელექტის მოდელის ანონიმურობის შეფასების საკითხი მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების დისკრეციას წარმოადგებს და შესაბამისად, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა იგი ცალკეული ინდივიდუალური შემთხვევების შეფასების საფუძველზე უნდა განსაზღვრონ. ხელოვნური ინტელექტის სისტემა ანონიმურია, თუ მისი მეშვეობით დიდი ალბათობით შეუძლებელია: მონაცემთა სუბიექტების პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირება და (შეუძლებელია მოდელისათვის კითხვების დასმის შედეგად მიღებული პასუხებისაგან პერსონალური მონაცემების განცალკევება. მოსაზრება შეიცავს ანონიმურობის განსაზღვრის თეორიულ მეთოდთა არასრულ ჩამონათვალს.

მოსაზრებაში წარმოდგენილია ის ზოგადადი გასათვალისწინებელი საკითხები, რომელთა მეშვეობითაც საზედამხედველო ორგანოები შეაფასებენ მოდელის განვითარებისა და გამოყენების მიზნით მონაცემთა დამუშავების ლეგიტიმური ინტერესის სამართლებრივ საფუძველს. მოდელის შეფასების პროცესში დამხმარე ფაქტორის ფუნქციას შეასრულებს სამ-საფეხურიანი ტესტი, მისი საშუალებით კი შეფასდება მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძვლად ლეგიტიმური ინტერესის გამოყენების საკითხი.

საბჭოს მოსაზრება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ისეთ მაგალითებს განიხილავს, როგორიცაა: მომხმარებელთა დამხმარე სასაუბრო აგენტი და კიბერუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. წინამდებარე შემთხვევებში, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების გაწევა ხდება შესაძლებელი.

მოსაზრება ასევე მოიცავს იმ კრიტერიუმებს, რომელიც დაეხმარება საზედამხედველო ორგანოებს შეაფასონ, შეიძლება თუ არა ცალკეულ მონაცემთა სუბიექტს გააჩნდეს გონივრული მოლოდინი მისი პერსონალური მონაცემების კონკრეტულ კონტექსტში გამოყენების შესახებ. აღნიშნული კრიტერიუმები ეყრდნობა შედმგომ გარემოებებს: იყო თუ არა მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი; პიროვნებასა და მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელს პირს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათი; მომსახურების ტიპი;პერსონალური მონაცემების შეგროვების კონტექსტი და მონაცემთა შეგროვების წყარო; ასევე, მოდელის შემდგომი გამოყენების შესაძლო ვარიანტები; და მონაცემთა სუბიექტების ცოდნა იმის შესახებ, რომ მათი პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში.

იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამუშავების ინტერესისა და მონაცემთა სუბიექტების უფლებათა დაცვის დაბალანსების ტესტი აჩვენებს, რომ მონაცემთა დამუშავება არ უნდა განხორციელდეს მონაცემთა სუბიექტებზე პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის გამო, გასავრცელებელი ზომების შემცირებამ შესაძლოა შეამციროს ეს უარყოფითი გავლენა. მოსაზრება მოიცავს ასეთი შემამსუბუქებელი ღონისძიებების მაგალითების არასრულ ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება იყოს ტექნიკური ხასიათის და მონაცემთა სუბიექტებს გაუადვილოს საკუთარი უფლებების განხორციელება, ან გაზარდოს მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელოვნური ინტელექტის მოდელი იქმნება უკანონოდ დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლოა პრობლემები შეიქმნას მოდელის დანერგვის კანონიერების მხრივაც, თუ იგი ანონიმურობის სათანადო ხარისხს არ ითვალისწინებს. ხელოვნური ინტელექტის მოდელების მრავალფეროვნებისა და მათი სწრაფი ევოლუციის გამო, „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ მიერ გამოქვეყნებული მოსაზრება წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს ცალკეულ შემთხვევათა ანალიზის მიზნებისათვის.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge